სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 5 24 0000034458

16/01/2024

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 12 იანვრის N1.1/1 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N34281; 16/01/2024) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა)2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის უნივესრიტეტში განცხადებისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 30 იანვრიდან 2024 წლის 13 თებერვლის ჩათვლით;

ბ)გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის წერილობითი თანხმობის წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 9 თებერვლიდან 2024 წლის 14 თებერვლის ჩათვლით;
გ) უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 14 თებერვლიდან 2024 წლის 15 თებერვლის ჩათვლით;
დ)უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოდგენილ იქნას 2024 წლის 16 თებერვლის ჩათვლით.

2.ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
3.სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
5.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
6.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
7.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
8.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს და დაევალოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
9.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა